# განმარტებითი ბარათი

მოგმართავთ თხოვნით, გასცეთ პირობადადებული მშენებლობის ნებართვა და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორებისათვის განგვისაზღვროთ სამ თვიანი ვადა.

წინამდებარე პროექტი წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ობიექტს, კერძოდ თეთრეულის სარეცხ საწარმოს და ავტოსამრეცხაოს. ობიექტი მდებარეობს დიდი დიღმის, მეაბრეშუმეობის ს/კ ინსტიტუტის ყოფილ ტერიტორიაზე. სამშენებლო მოედანი წარმოადგენს ვაკე ადგილს, რომლის ნიშნულებიც მერყეობს 20–70 სმ–ს შორის. ტერიტორიაზე არ გადის საინჟინრო ქსელები და თავისუფალია სხვა შენობა ნაგებობებისაგან. შენობა წარმოადგენს ერთ სართულიან რკ/ბ–ის მონოლითური კონსტრუქციების ნაგებობას, რომლის კედლებიც მოწყობილია რკინის კარკასზე მოწყობილი შემინვით და ფერადი სენდვიჩ–პანელებით. შენობის სიმაღლე შეადგენს 4 მ–ს და მასში მოეწყობა თეთრეულის სარეცხი ავტომატიზირებული საწარმო. საწარმოს მიდგმული აქვს სამ სართულიანი საოფისე შენობა, რომლის პირველ სართულზე განთავსდება საწარმოს მუშა–მომსახურეებისთვის გასადელები, საშხაპეები, ტუალეტები, კვების ობიექტი სამზარეულოთი და დასასვენებელი ოთახი. ხოლო მეორე და მესამე სართულზე განთავსდება საწარმოს ადმინისტრაცია. ეზოში გათვალისწინებულია მარტივი ტიპის კონსტრუქციებით ავტოსამრეცხაო 7 ავტომობილზე, აგრეთვე გამოიყოფა სამეურნეო ადგილი. საწარმოს წინა ეზო მოპირკეთდება მოზაიკური ფილებით ხოლო ავტოსამრეცხაო და ღია ავტოსადგომი ასფალტო ბეტონით.

ნუგზარ ჩხეტიანი